

ნადარაიას თვითმფრინავი

ფრენის დროს გარკვეული მანძილის სიმაღლეზე თვითმფრინავში მომხდარი გაუმართაობის შემთხვევაში, სწრაფგასართი მოწყობილობის დახმარებით თვითმფრინავი განცალკევდება ორ ნაწილად: ფიუზელაჟი სალონით ცალკე ნაწილად და ფრთები და კუდის ნაწილი ცალკე ნაწილად. განცალკევების შემდგომ ფიუზელაჟზე იხსნება პარაშუტი და იწყებს მსუბუქ ვარდნას დედამიწის ზედაპირზე. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საჰაერო რეზერვუარების ამოქმედება, რომლებიც განთავსებულია ფიუზელაჟის ქვედა ადგილზე, რის შედეგადაც ფიუზელაჟი წყლის ზედაპირზე ვარდნისას არ იძირება. აგრეთვე ფიუზელაჟისგან სწრაფგასართი შეერთებით განცალკევებულ ფრთებსა და კუდის ნაწილზეც იხსნება პარაშუტი და იწყებს მსუბუქ ვარდნას დედამიწის ზედაპირზე.

ნადარაიას თვითმფრინავის ანალოგი cirrus SR22 გათვლილია ოთხ მგზავრზე დედამიწაზე მთლიანი თვითმფრინავის პარაშუტით დაშვების შესაძლებლობით, ხოლო ნადარაიას თვითმფრინავი გათვლილია 6-7 ან მეტ მგზავრზე.

